Some floral designers prefer to create content by artificially shaping a perfect plant, a flower. For the artists of my kind, on the other hand, the most important matter is to analyze the essence of a flower as such – its substance, its existence and form, its integration with architecture and surroundings and then, of course, to shape it in a particular way. For me as a floral designer architecture and environment are highly important. Floral design as profession should always be oriented at buildings and configurations, this is not a short-term fashion trend as some people think.

**- What is the balance of talent and diligence in the work of a floral designer?**

Floral design is a highly complex profession. I studied it thoroughly and accumulated a great deal of experience. The most important thing in this profession is to know the varieties of flowers and plants, their names and visuals, natural habitats and conditions favorable for their growing. The next stage is merchandising, the art of presentation, good craftsmanship, creativity and aesthetic sensitivity. Talent, though endowed by Heaven, can be refined, but in our business, you frequently come across successful craftsmen and merchandisers. Considering this it is hard to say what is more important – talent or diligence. A floral designer ought to present his products in a right way, to be always innovative and therefore interesting for the consumers. This is the talent which can be honed by work and experience. Though I think that a good floral designer is first of all a good merchandiser and presenter and only then a talented artist.

**- Do you think floral design is a science or an art?**

As I said this is a complex profession integrating science and art. It is important to accumulate as much knowledge and experience as possible and then to develop creativity.

**- Where was it easier for you to unleash your creative potential? Or does a country, a place, play a small role in this?**

I am free to explore my creative potential wherever I am, though I would like to specially mention my homeland and credit my family and my wife for letting me do what I am fond of worldwide.

**- Does the attitude toward floral design vary in different countries?**

- Yes, the demand and requirements vary from country to country. For example, here, in Georgia, I make wedding



Master-class Results



### Master-class Results

decorations, which are nice-looking, colorful and bustling with different forms and shapes – cones, pyramids, garlands... On the other hand, in Scandinavia I kept my work very minimalist and restrained myself to reiterating natural forms of plants. This is what real design is about. Floral design is the search of novelty. New form, new content, which is less popular here at the time being. I will soon leave for Netherlands, where I will continue to create designs like what I described and which is, in fact, my profile.

#### - What role does floristry play in architecture and design?

Architecture and nature are inseparable. However, architects (as I know from my son – a theorist and a practicing architect) find it hard to adapt flowers to the architectural environment for which they design constructions. Flowers, and, in general, plants, are a very specific matter. They frequently change form and may even disappear for some time. Considering this, I think that architects can achieve their goals by using the special features of plants, by correctly distributing their shapes and colors and by integrating them with architectural constructions.

#### - What are key elements of floral design?

Key elements of floral design are color, shape, structure. And the cornerstone principles are – line, proportion, focus, balance, harmony, contrast, scale. These are the 7 key principles which also apply to almost all the visual arts including architecture.

#### - In your opinion, which country or region is most likely to be a leader in floral design in the near future?

I have been working almost everywhere; this puts me in a position where I can watch the core principles of my profession change. To Eastern Europe, China and its neighboring countries I predict significant development in this sphere. And in countries like Germany, Austria, Japan and even the USA, where traditional gardening and floristry have been popular and thriving for ages, one can observe radical changes – in the past, flowers were considered as gifts for women only, now they have a much broader meaning. Flowers and plants are actively used in interior and outdoor decoration, in architecture. I am sure floristry will become even more trendy and fashionable there during the next 10 years.

#### - Do you have other occupations apart from floral design?

My hobbies are sketching of design ideas and music; I even create music myself. And my second biggest passion (not counting floral design) is architecture, though I never wanted to become an architect. I cannot think of my life without flowers. Unfortunately, I do not have much space for work in Germany, but in France I can grow flowers at any time of the year, which gives me innumerable opportunities for realizing a wide variety of ideas.

#### - And our final question which we offer to all our respondents – can you please give an advice to floral designers who have just begun their creative activity or are still in search of their true self?

The beginners I would advise to be dependent on beauty and sustain an insatiable love of flowers. This is the best, the most lively and flexible occupation you can maintain any time of the year. It is also important to try and gather as much knowledge and experience as possible. This comes with age. I am frequented by young people interested in this profession and this fact makes me really happy, but I keep telling everyone to work, study and take in as much as they can.

*Interview prepared by: Nino Laghidze  
Translated from German by Tekla Chitanava*



# ქალაქი შოაში 100 000 გაცხოვრებელზე



საქართველოს ტერიტორიის 82% მთა-გორიანია და „დაჭმუჭნული“-ქედებით, მთებითა და ხეობებით გამოირჩევა. თვითონ ქვეყანაც შეიძლება ერთი დიდ „ხეობად“ წარმოვიდგინოთ — ჩრდილოეთით, კავკასიონის მთათა სისტემით და სამხრეთით მცირე კავკასიონით, რომელსაც ლიხის ქედი ყოფს დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილად. სწორედ ამ ხეობას მიუყვება დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი მთავარი მაგისტრალი. ქვეყანას, ამ მხრივ ოდითგანვე სტრატეგიულ-გეოპოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ევრაზიის დამაკავშირებელი აბრეშუმის გზა სწორედ საქართველოზე გადიოდა, რაც დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციების დამაკავშირებელ ხიდს წარმოადგენდა.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს იმერეთის რაიონში, რიკოთის გვირაბიდან დასავლეთის მიმართულებით, სოფელ უბისას ჩათვლით. ესაა 28 კმ. სიგრძის ხეობა, სადაც გადის საქართველოს დასავლეთ-აღმო-

სავლეთის დამაკავშირებელი მაგისტრალი.

ხეობა სხვადასხვა ფორმის, დახრის და სიმაღლის ფერდობებით ხასიათდება, ტერიტორიის დაახლოებით 70% ტყიანია. დასახლებულია მეჩხერად. საპროექტო წინადადება წარმოადგენს ერთგვარ კონცეპტს, თუ როგორი მიდგომით შეიძლება რთული რელიეფების ათვისება და განვითარება, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ქართული რეალობისა და ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებით „ახალი“ ქალაქის შექმნა.


საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთ გამყოფ ტერიტორიაზე, სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი მრეწველობის სტატუსის ქალაქის აღმოცენება, ხელს შეუწყობს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან კულტურულ-სამეურნეო სფეროს აღორძინებას და იმერეთის მხარის ისტორიულ-გეოგრაფიულ გარემოზე იქნება ორიენტირებული. მხარეს დიდი პოტენციალი გააჩნია სოფლის მეურნეობის განვი-

თარებისთვის, ასევე მდიდარია სა-რეკრეაციო რესურსების მხრივ.

რთული რელიეფზე პროექტირების ყველაზე გავრცელებული, ოპტიმალური ვარიანტია ტერასული ტიპის მშენებლობები და ნერტილოვანი „კოშკურა“ ტიპის საცხოვრისები. მაღალი ქანობის ტიპის ტერიტორიების განაშენიანება საქართველოში, სწორედ ამგვარი მიდგომით ყალიბდებოდა, რის შედეგადაც სახეზე გვაქვს არქიტექტურის ბუნებასთან ჰარმონიული შერწყმა, ამასთანავე დახრილი რელიეფების ყველაზე რაციონალური ხუროთმოძღვრული გადანწყვეტები სივრცისა და კონკრეტულ ისტორიულ პერიოდებში.

საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს 66 მლნ. კვ.მ. ფართობს. იგი მოიცავს 16 სოფელს. ესენია: ნაკვა, გრიგალეთი, ნადაბური, ციციური, გედსამანია, ხუნევი, ვერტყვიჭალა, საქასრია, ვაშლევი, ამაშუკეთი, კვესრევი, მაქათუბანი, ლორეშა, ბზინევი, ბორითი და უბისა. მოსახლეობის საერთო რაოდენობა დაახლოებით





20-იდან 25000 კაცამდეა, აუცილებელია ქალაქის ქვემოთ ჩამოთვლილი ფუნქციების განხორციელებისათვის, ხოლო ქალაქგეგმარებითი ნორმებიდან გამომდინარე მოსახლეობის ამ რაოდენობას ვზრდით 4-ჯერ (პირობითად დედა-მამა, ბებია-ბაბუა...) შესაბამისად ქალაქი გვექნება 100 000 მაცხოვრებელზე პერსპექტივითა და სათანადო ინფრასტრუქტურით 2020 – 2035 წწ. ვადაში გათვლით.

საპროექტო ნინადადებაში შენარჩუნებულია თექვსმეტივე სოფელი, რომელთაც ექმნებათ შეუდარებლად გაუმჯობესებული სასიცოცხლო პირობები. ქალაქის მომსახურების წამყვანი დარგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობა იქნება. იგი მოემსახურება ადგილობრივ სოფლებს და ამავე დროს ქვეყნის მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიღება-გადამამუშავების ცენტრი გახდება. პროექტში შენარჩუნებულია ხეობაში გამავალ მთავარი გზა, რომელიც ფაქტიურად ქალაქის შიდა, მთავარი გზის ფუნქციას შეასრულებს. რაც შეეხება აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის დამაკავშირებელ ჩქაროსნულ გარე გზას, იგი ორი სადგურით დაუკავშირდება ქალაქს, სოფელ ღორეშაში და სოფელ გედსამანიაში. ჩქაროსნული მაგისტრალი მთიანი რელიეფის გამო რიკოთიდან უბისის ფარგლებში დაახლოებით 11კმ-ს გვირაბში გაივლის, ხოლო 8კმ-ს გარეთ, რის შედეგადაც მოვიგებთ დროსა და ენერჯიას: რიკოთიდან უბისამდე გადაადგილებისას 28კმ-ის მონაკვეთს შევამცირებთ 9კმ-ით, ანუ დაახლოებით 1/3-ით.


საპროექტო ტერიტორია დაყოფილია შემდეგ ზონებად: მომსახურება, რომელიც შეადგენს ქალაქის 35-40%-ს. საცხოვრებელი – შეადგენს ქალაქის 25-30% და გამწვანება-რეკრიაციას, რომელსაც ხელუხლებლად შევიწარმენებთ თავისი სავარგულებით, შეადგენს ქალაქის ტერიტორიის 30%-ს.

მომსახურების ნაგებობები ძირითადად თავმოყრილია მდინარისა და გზის მონაკვეთის გასწვრივ, რომელიც ორი სახის მომსახურებას მოიცავს: ყოველდღიურს და სეზონურს,

ხოლო ეპიზოდური მომსახურება უმთავრესად ქუთაისში იქნება.

როგორც ვხედავთ იქმნება ხაზოვანი ტიპის ქალაქი. ხეობას თითქმის მთელ სიგრძეზე მიუყვება მდინარე ძირულა პატარა-პატარა შენაკადებით. მომსახურების სივრცეები ძირითადად ხეობის სიღრმეში გზისა და მდინარის გასწვრივ განლაგდება. „მეორე ხაზზე“ – საცხოვრებელი სივრცეები, შემდეგ კი სამეურნეო სავარგულები. გამწვანება და რეკრიაციის ტერიტორიის ორივე ნაწილს მოიცავს, მომსახურებასაც და საცხოვრებელსაც. არსებულ „მწვანე“ ტერიტორიებთან ერთად, სარეკრეაციო და მჭიდროდ განაშენიანებულ ადგილებში, მოვანყობთ მდინარის კალაპოტს. ხოლო სპორტის, პარკებისა

და დასვენების ზონებში კი ვზრდით კალაპოტის სიგანეს და წყლის დონეს საცურაო, სანაოსნო და გასართობი მომსახურებისთვის. ეს არის ცენტრის გარშემო ორიენტირებული რაიონის კომპოზიცია. ცენტრში გვაქვს უნივერსალური მოედანი თავისი ინფრასტრუქტურითა და მის ირგვლივ მოწყობილი განაშენიანების ტიპებით: ტერასული, რომელშიც შედის მაღლივი ტერასული ტიპის საცხოვრებლები; ინდივიდუალური ტერასული ტიპის საცხ.; ინდივიდუალური ცალკე მდგომი საცხოვრებლების განაშენიანება; მაღლივი წერტილოვანი. იმ მონაკვეთებში კი სადაც ხეობა ვინროა ვაკეთებ ე.წ. „გადახურვას“ – მეორე სართულის განაშენიანებას, ლითონისა და მინის გამჭვირვალე





კონსტრუქციების საშუალებით, სადაც ქვედა არსებული ნაწილი ხელუხლებელი დარჩება.


იქ სადაც რელიეფი საკმაოდ დახრილია, ბევრად მოსახერხებელია ნერტილოვანი-მაღლივი შენობების დაპროექტება, ხოლო სწრაფი კომუნიკაციისათვის და დამატებითი საცხოვრებელი ფართების გამო მაღლივი ნერტილოვანი საცხოვრებელი სექციური ტიპის „მიერთებით“ ფერდობს დაუკავშირდება. შესაბამისად მისვლა და გადაადგილება საცხოვრებელში, მოხდება ორივე მხრიდან დამოუკიდებლად. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი კვლავ დახრილი რელიეფიდან გამომდინარეობს, ესაა ტერასული საცხოვრებელი. იგი ფაქტიურად კიბისებურად მიუყვება რელიეფს, რაც საშუალებას გვაძლევს სხვადასხვა რაოდენობის კომპოზიციური ვარიაციების შექმნისა და ამავე დროს ძნელად მისადგომ ტერიტორიებზეც კი პროექტირების საშუალებასა და ცხოვრებას. მესამე ფაქტორი ლანდშაფტის მაქსიმალურად შენარჩუნებაში მდგომარეობს, ვგულისხმობ რაც შეიძლება მინიმალურ ჩარევას ბუნებაში, რითიც გავუფრთხილებით, ლანდშაფტს და ამავე დროს შევინარჩუნებთ არსებულ საცხოვრებელსა და მეურნეობას. შედარებით დაბალი ქანობის ფერდობებზე შესაძლებელია სექციური ტიპის საცხოვრებლების

განაშენიანება. მთისძირა შედარებით სწორ დაბლობზე კი — ინდივიდუალური, ერთ-ორსართულიანი ტიპის საცხოვრებლების განაშენიანება, საკარმიდამო ნაკვეთებით.

სწორ და უმნიშვნელო დახრის ფერდობებზე, ასევე დასაშვებია ცალკე მდგომი, ნერტილოვანი მაღლივი

საცხოვრებლები და ა.შ., ანუ — საპროექტო ტერიტორიაზე არსებული სოფლებისა და სახლების შენარჩუნებით, არსებული სიტუაცია განივრცობა ქალაქური ტიპის მომსახურებითა და განვითარებული ინფრასტრუქტურით.


21-ე საუკუნის არქიტექტურაში





აქტუალური საკითხია ენერგოეფექტურობის პრობლემა, ე.წ. „მდგრადი არქიტექტურა“. ამიტომ შევეცადე

სიმალურად ენერგოეფექტური: - მშენებლობის პროცესში გროვდება დიდი რაოდენობით სანარმოო



არსებული სიტუაციიდან და დღევანდელი ტექნოლოგიური მიღწევებიდან გამომდინარე ქალაქი ყოფილიყო მაქ-

ნარჩენი, ამიტომ მიზანშეწონილია ლორეშას ტერიტორიაზე, სამრეწველო რაიონში იფუნქციონიროს გამო-



უყენებელი გადასაყრელი სანარმოო ნარჩენების გადასამუშავებელმა ქარხანამ;

— მაღლივ საცხოვრებლებზე ვერტიკალურად მოთავსდება მზის პანელები; ასევე გადახურვაზე დამონტაჟდება მზის კოლექტორები, რაც საცხოვრებელს ცხელი წყლით მოამარაგებს;

- სექციურ-ჰორიზონტალური საცხოვრების სახურავზე მოეწყობა სარეკრიაციო ზონა თავისი დამაკავშირებელი მისასვლელით ვერტიკალურ კორპუსებთან. იგი ხელს შეუწყობს საცხოვრებელში კლიმატური პირობების შენარჩუნებას და სახურავზე მოწყობილ აუზებში მოგროვებული წვიმის წყალი დაზოგავს შენობისთვის საჭირო წყლის მარაგს. ამგვარი გადახურვა საცხოვრებლის დამატებითი სარეკრიაციო სივრცეც იქნება;

- გამოვიყენებთ ახლად დანერგილ ბიოენერგოპასიურ საშუალებებს, რის შედეგად მიღებული ბუნებრივი აირი მთლიანად უზრუნველყოფს სახლს გაზმომარაგებით;

- ინდივიდუალურ დაბლივი ტერასული საცხოვრებლების მწვანე ტერასებზე გადახურვა შესაძლებელია მოეწყოს აუზებით. შედეგად, ვლებლობთ ალტერნატიულ თბოენერგიასა და გაგრილებას, რითაც სამჯერ ვამცირებთ ელექტროენერგიის მარაგს.

„ქალაქი მთაში 100 000 მაცხოვრებელზე, რთულ რელიეფზე და სახლების სისტემის შექმნისა მცდელობას წარმოადგენს.



ავტორი: თსსა. არქ. ფაკ. დოქტორანტურის I კ. სტუდენტი გიორგი მახათაძე  
ხელმძღვანელი: არქიტექტურის დოქტორი ბორის გოლუბჩიკოვი თბილისი. 2017 წ.



## „STREET ART“ მინისქვეშა გადასასვლელებში

შპს „თბილსერვის ჯგუფმა“ მინისქვეშა გადასასვლელების რეაბილიტაცია დაიწყო. პირველ ეტაპზე სარემონტო სამუშაოები ჭავჭავაძის გამზირზე, ვაკის პარკის მიმდებარედ არსებულ მინისქვეშა გადასასვლელში განხორციელდა. სარემონტო სამუშაოების ფარგლებში მოპირკეთდა კედლები და რეაბილიტაცია ჩაუტარდა შუბ პირთათვის განკუთვნილ ლიფტს. შესრულდა კედლების მოხატვა – ე.წ.

„STREET ART“ და განათების სისტემა შეიძვლა.

ვაკის პარკის უსახურ და ბნელ მინისქვეშა გადასასვლელში სასიამოვნო გარემო შეიქმნა. სწორედ ისეთი, როგორც ევროპის მრავალ ქალაქშია სპორტული ინფრასტრუქტურის სიახლოვეს. შპს „თბილსერვის ჯგუფის“ ინიციატივით ვაკის პარკის მინისქვეშა გადასასვლელი ქართველი სპორტსმენების ნახატებით მოიხატა.

თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით, შპს „თბილსერვის ჯგუფი“ დედაქალაქში არსებული მინისქვეშა გადასასვლელის მოვლა-პატრონობას 2016 წლის მაისის თვიდან ახორციელებს. აღნიშნულიდან გამომდინარე „თბილსერვის ჯგუფმა“ დაიწყო მის მოვლა-პატრონობაში არსებული 22 მინისქვეშა გადასასვლელის აღწერა-შესწავლა შემდგომში რეაბილიტაციისთვის.






დათო კვანტალიანი  
David Kvantliani



ლუკა ჯაფარიძე  
Luka Japaridze

ინიციატორმა კომპანიამ მიწისქვეშა გადასასვლელების მოსახატად ახალგაზრდა მხატვრები შეარჩია. ერთ-ერთი მათგანი ლუკა ჯაფარიძეა, რომელიც ამჟამად სამხატვრო აკადემიაში სწავლობს, ამ საქმეში ადრეული ნლებიდანაა ჩართული და არაერთი მურალი (კედლის მხატვრობა) აქვს შექმნილი.

მიწისქვეშა გადასასვლელების მოხატვაზე 4 კაციანი ჯგუფი — ლუკა ჯაფარიძე, თათო (თამარ) მინდორაშვილი, ლუკა მანჯგალაძე და დათო კვანტალიანი (თსსა-ს მხატვარ-პედაგოგი) მუშაობს. საზოგადოების მხრიდან მათ ნამუშევრებს დადებითი გამოხმაურება მოჰყვა და ახალგაზრდა მხატვრებს დიდი სურვილი აქვთ, სამომავლოდ თუ იქნება შესაძლებლობა, კვლავ შექმნან „STREET ART“ სხვადასხვა მიწისქვეშა გადასასვლელში.



თათო მინდორაშვილი  
Tato Mindorashvili



ლუკა მანჯგალაძე  
Luka Manjgaladze



## STREET ART IN UNDERGROUND WALKWAYS

Tbilservice Group Ltd started rehabilitation of underground walkways. First stage of the project was implemented in the underground walkway near Vake Park in Chavchavadze Avenue. The rehabilitation included wall facing, repair of an elevator intended for people with disabilities, replacement of light fixtures and street art style wall decoration.

The dark and drab underground tunnel at the Vake Park entrance is now a pleasant and positive space – just like passageways leading to sports facilities in many European cities. It was the decision of Tbilservice Group Ltd to paint the walls of Vake Park entrance passageway with stylized portraits of Georgian sportsmen.

The company invited young artists to decorate the walls of underground walkways. One of them is Luka Japaridze, student of Georgian State Academy of Arts, who has been engaged in street art from teenage years and has painted a mural numerous fitness clubs and sports halls.

Underground walkways are painted by a group of 4: Luka Japaridze, Tamar Mindorashvili, Luka Manjgaladze and Dato Kvantaliani. The work they have done to date received a great deal of highly positive public feedback, and the young artists are willing to create more street art in different underground tunnels.



# დიმიტრი (დიმა) თოფურიძე

8 ივლისი, 1947 – 21 დეკემბერი, 2016



ფიკოსი, დიზაინერი, საქართველოში სამთო სათხილამურო სპორტის განვითარების ხელშემწყობი და მრავალი თაობის აღმზრდელი, გუდაურის ერთ-ერთი ვეტერანი, მეგობრების მიერ ხუმრობით „რენესანსულ ადამიანად“ წოდებული დიმა, თავისი მრავალმხრივი ნიჭითა და მოღვაწეობით გამოირჩეოდა.

დიმა დაიბადა 1947 წლის 8 ივლისს. ცნობილი ფოლკლორისტის და ლოტბარის ფილიმონ ქორელის შვილთაშვილი, ბავშვობიდან იმ დროის ცნობილ ხელოვანთა და საზოგადო მოღვაწეთა გარემოცვაში იზრდებოდა. ყოველივე ამან დიდწილად განაპირობა მისი შემოქმედებითი ბუნების ჩამოყალიბება.

1965-66 წლებში იაკობ ნიკოლაძის ხელოვნების სკოლაში, ხოლო 1966 წელს თბილისის ტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობდა. საბოლოოდ 1970-75 წლებში თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ინტერიერის დიზაინის პროფესიას დაეუფლა.

დიზაინის პარალელურად, ფლობდა სხვადასხვა ხელომას. ხის, თიხისა

თუ ლითონის მხატვრული დამუშავების ღრმა ცოდნამ შემდგომში მისი დიზაინით შექმნილ ინტერიერებში იჩინა თავი. თავად კოლექციონერი და სიძველეების დამფასებელი, ინტერიერში ხშირად იყენებდა სიძველეებს, კერამიკას, ფოტოებს, ხის ნივთებსა და ძველებურ ორნამენტს. აქ ყოველი დეტალი თუ აქსესუარი მის ხელწერას ატარებს. ეს კი მის მიერ შექმნილ ყველა ინტერიერში თავისებურ მყუდრო და უშუალო გარემოს ქმნის.

ინტერიერის დიზაინის და განხორციელებული არქიტექტურული პროექტების პარალელურად დიმიტრი თოფურიძის შექმნილი ნამუშევრები განსაკუთრებული ადგილი უკავია გრაფიკულ და ფერწერულ ნამუშევრებს. იგი არაერთი ფერწერული ტილოს, კოლაჟის, პლაკატის, ჟურნალის, მოსაწვევისა თუ ბუკლეტის ავტორია. მათი შინაარსი და ფორმა ყოველთვის ეხმიანება დროს, აქვს სიღრმისეული დარტყვირთვა და მოიცავს როგორც კულტურასთან დაკავშირებულ, ისე პოლიტიკურ და სოციალურ თემებს.

ხელოვნების სასახლისა და ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის ურთიერთანამშრომლობით და ორგანიზებით დიმა თოფურიძის გამოფენა – უკანასკნელი ნამუშევრების სერია „ასოთა ბანი“ – 28 იანვარს გაიხსნა. მხატვარი, არქიტექტორი, გრა-





მხატვართა, არქიტექტორთა და დიზაინერთა კავშირების წვერი, იგი იყო არაერთი გამოფენისა თუ კუნკურსის მონაწილე. უკანასკნელი წლებში იყო სამოყვარულო საგანმანათლებლო სტუდიის „არტი-ის-თის“ დამაარსებელი და აკადემიური ნახატის მასწავლებელი.

მისი პროექტი „ავენისი“, რომელმაც საქართველოში გამართულ არქიტექტურულ ბიენალეზე გრან პრიზი მიიღო, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში ამერიკელი ექსპერტების მიერ იქნა აღიარებული.

დიმა თოფურიძის მრავალმხრივი მოღვაწეობის ცალკე ფურცელია საქართველოში სამთო სათხილამურო სპორტის და უშუალოდ გუდაურის სამთო სათხილამურო ცენტრად ჩამოყალიბების ისტორია, რომლის საწყისებთანაც იდგა იგი. არაერთი თაობის აღმზრდელი, მისი მოწაფეები დღესაც აღნიშნავენ „დიმა მასნის“ როლს მათი პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებაში.

როგორც მრავალმხრივი ადამიანი უკრავდა საყვირზე, მონაწილეობდა ფილმებში — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შნო“ მისი პიროვნული ხასიათის ნაწილია.

გამოფენაზე „ასოთა ბანი“ წარმოდგენილია დიმიტრი თოფურიძის ანბანისადმი მიძღვნილი გრაფიკული სერია, რომელიც მან ორ ეტაპად, 1993-1996 და 2012-2016 წლებში შექმნა. სერიაში გამოყენებულია როგორც კალმითა და ფანქრით შესრულებული გრაფიკული ჩანახატები, აკვარელის, გუაშის ფერადოვანი აქცენტები, ისე ფოტოები და სხვადასხვა დოკუმენტებით აწყობილი კოლაჟები. თითოეული ნამუშევარი ეძღვნება ქართული ანბანის ცალკეულ გრაფემას, სადაც ერთობლიობაში აღვიქვამთ ქართული დამწერლობის სამ სახეობას: მხედრულ, ასომთავრულ, ნუსხურ ასოებს, მათ რიცხვით მნიშვნელობებს, მათ ლათინურ ექვივალენტს და ტრანსკრიპციას. თითოეული ნამუშევარი დამოუკიდებელი სამყაროა, დამწერლობის მხატვრისეული გადააზრება, ანბანის სახვითი ინსპირაცია, სადაც მხატვრის ინდივიდუალური სამყარო და შემოქმედებითი სიღრმე იკითხება.

ფარგლით შესრულებულ გეომეტრიულ მოხაზულებებში ნათლად იკვეთება არქიტექტორის ხელწერა, ხოლო კომპოზიციებში ჩართული ლექსები (ძირითადად აკაკი წერეთლის „ქართული ანბანის„), მინანქრები კალიგრაფის დახვეწილ ოსტატობაზე მეტყველებს. ანბანის სერიაში განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას მისი ასოციაციური ხასიათით ახდენს: მხატვრის გონებაში ამა თუ იმ გრაფემასთან დაკავშირებული ცნობილი სახეები, პირადი მოგონებები, ადამიანები, ცხოველები, მოვლენები კალენდოსკოპურად ენაცვლება ერთმანეთს და ერთიანობაში ქართული ანბანის მრავალფეროვნებას, დახვეწილობას და ამავედროულად, მხატვრის ინდივიდუალურ თვალთახედვას და ღრმა შინაგან სამყაროს წარმოაჩენს.

„ასოთა ბანი“ არის ის უკანასკნელი გრაფიკული ნაშრომი, რომლის დასრულება მოასწრო დიმამ და რომლის საზოგადოებისთვის წარდგენას უახლოეს მომავალში თავად გეგმავდა. მისი გარდაცვალების მე-40-ე დღეს მას ეს ოცნება რეალობად ექცა.





# DIMITRY (DIMA) TOPURIDZE

8 JULY, 1947 –  
21 DECEMBER, 2016

The exhibition „Alfa of Beta“ was organized and opened in collaboration with Georgian Arts&Culture Center and ART PALACE, on January 28, 2016

Graphic artist, Architect, designer, initiator of the development of mountain skiing sports and particular of the resort Gudauri, coach, often called as a „Renaissance man“ by friends, Dima was distinguished by the diversity of his talents and activities.

He was born on July 8, 1947. The grandson of famous folklorist and musician Philimon Koreli, from the very childhood he was surrounded by well-known artists and public figures of that time. This artistic milieu significantly determined his creative nature afterwards.

In 1965-66 year he has been studying in Jakob Nikoladze Artistic School, in 1966 he was a student at Tbilisi Technical University, while in 1970-75 years he graduated Tbilisi State Academy of Arts as an interior designer.

Alongside design, Dima himself was a skillful crafts master. His deep knowledge in woodwork, ceramics or metalwork has





been later applied to his interior designs. As a collector himself and a great admirer of antiquities, he often used old pieces of ceramics, photos, wood items and ornaments in his interiors. Here everything speaks to his individual manner. His interiors are marked by cozy, warm and genuine environment.

Alongside architectural projects and interior designs, paintings, collage, posters, magazine and brochure design occupied an essential role in his work. Their deep meaning, content and form are always in tune with time, with actual political, cultural and social issues.

The member of Architect, Designer and Artist's Unions, he was a participant of various exhibitions and contests. Lately, he was a founder and teacher of academic drawing at the artistic studio „Arts-east“. His project „Avenisi“, which has been awarded the Grand Prix at Georgian Architectural Biennale, received the special mentioning from US experts during Soviet period.

Dima Topuridze's contribution to the development of mountain skiing resort Gudauri is worth of special mentioning. The initiator and actual leader in resort development, he raised number of generations as a skiing coach. His appetencies always acknowledge his input in shaping their personalities.

As a multitasking man, he also played trumpet and acted in several movies. The short movie „Shno“ (1978) perfectly reflects his individual features.


The exhibition „Alfa of Beta“ presents Dimity Topuridze's series of graphic works dedicated to Georgian alphabet. Created in two different time periods between 1993-1996 and 2012-2016, these particular works are collages, which apply different media from pen or pencil graphic drawing to watercolor, photos and patches of old documents. Each collage is dedicated to each Georgian Letter, where we can contemplate the entire beauty of three types of Georgian writing: Mkhedruli, Asomtavruli and Nuskhuri, their numerical meaning and transcriptions in Latin. Each work features its own micro world, showing the creative mind of the artist.

The clipper traced geometric shapes of each grapheme unveil the handwriting of the architect, while the verses and inscriptions between images speak to the elaborated mastery of the calligrapher. What strikes the viewer from the first sight is the associative nature of the particular works: different images, private memories, people, animals and events associated with each Georgian grapheme replace each other in a kaleidoscopic manner and altogether show the beauty and refinement of Georgian alphabet, while revealing the individual perspective and the rich imagination of the artist.

„Alfa of Beta“ is the last graphic work accomplished by Dima. He was planning to present the series to the wider public very soon. On the 40th day after his passing away, his dream has come true.

In 2016 Georgian Alphabet was inscribed into the list of the Intangible Cultural Heritage of Humanity of UNESCO

# წიგნის – „განათება და ფერი არქიტექტურის დიზაინში“ – პრეზენტაცია



2017 წლის 28 იანვარს, თბილისში, საგამოფენო კომპლექსის ექსპო ჯორჯიას მე-3 პავილიონში შედგა თბილისის სახ. სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის მიმართულების – განათება და ფერი არქიტექტურულ დიზაინში – ხელმძღვანელისა და დამფუძნებლის, არქიტექტურის დოქტორის, პროფესორ თეიმურაზ ჯორჯაძის წიგნის „განათება და ფერი არქიტექტურის დიზაინში“ პრეზენტაცია. წიგნი გამოცემულია თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიერ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური დახმარებით.

წიგნში მოკლედ განიხილება ის აუცილებელი მიმართულებები და მაგალითები, რომლებიც არა მარტო ამ სპეციალობის, არამედ არქიტექტურის და სხვა მომიჯნავე სპეციალობებისთვისაა საჭირო. წიგნში ნათლად ჩანს რამდენად აქტუალური და მნიშვნელოვანია ფერი და განათება ადამიანის ყოფიერებაში, კერძოდ არქიტექტურაში.

პრეზენტაცია თბილისის სახ. სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის, „განათება და ფერი არქიტექტურულ დიზაინში“ მიმართულების სტუდენტების მიერ შესრულებული პროექტების ექსპოზიციის ფონზე ჩატარდა. ღონისძიებამ მონეული პროფესიონალების და საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლების დიდი მონონება დაიმსახურა.





## PRESENTATION OF THE BOOK “LIGHTING AND COLOUR IN ARCHITECTURAL DESIGN”

January 28, 2017, at the Expo Georgia was held presentation of the book „Lighting and Colour in Architectural Design“. Author of the book – Professor Teimuraz Jorjadze, founder and head of the trend „Lighting and Colour in Architectural Design“ at Tbilisi State Academy of Arts.

Book is published by the Tbilisi State Academy of Arts with the financial support of the Ministry of Culture and Monument Protection of Georgia.

In the book briefly is reviewed those urgent directions and samples, which are necessary not only for this field but for architecture and other related specialties.

The book to see clearly how urgent and significant is colour and light in a man’s life, namely, in architecture. Coming out of this, lighting and colour modelling are very important and active elements of Architecture.

Presentation was conducted on the background of the Exposition of students project. The event was highly appreciated by professionals.



# დარბაზული გვირგვინი

ქართულ ხუროთმოძღვრებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია. ქვის ხანიდან დაწყებული, როდესაც აქ ყალიბდებოდა პირველყოფილი საზოგადოება სამშენებლო კულტურამ ჩვენს ანმყოფე მოცემული დარგის ნიმუშთა დიდი მრავალფეროვნება შემოგვინახა. შედეგად საქართველოში დიდი ხნის წინ მოხდა ნაგებობათა კლასიფიკაცია: „ოდა-სახლი“, „პალატანი-ოდა-სახლი“, „საერო-სახლი“, „საჯალაბო-სახლი“.

კოლხური სახლის აღწერას ჩვენ ვხვდებით ძველი რომაელი ხუროთმოძღვრის ვიტრუვიუსის ნაშრომებში, სადაც განიხილება დარბაზული ნაგებობის გვირგვინის სახის საფარი. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის ანალოგიურ კონსტრუქციას სასომხეთში ეწოდებოდა „აზარაშენი“, ხოლო აზერბაიჯანში „კარადამი“.

სიტყვა დარბაზი ქართულ მეტყველებაში რამდენიმე მნიშვნელობით არის დამკვიდრებული: მინური საცხოვრებელი, სამეფო სასახლე, სამსჯავრო პალატა და სათათბირო. დარბაზული საცხოვრებელი საქართველოს ხუროთმოძღვრებაში გვხვდება ჯერ კიდევ IV–III ათასწლეულში ძველი ნელთალრიცხვით. იგი შედგებოდა მთავარი დიდი ოთახისგან, რომელიც აღჭურვილი იყო საყრდენი დედაბოძით, გვირგვინული გადახურვით და დამხმარე რამდენიმე უფრო მომცრო ოთახისგან. ამგვარ საცხოვრებელ გაერცელება ჰქონდა ევრაზიის თითქმის მთელ სივრცეზე და აფრიკაშიც კი.

საერთოდ ტერმინი „დარბაზი“ გულისხმობს ნაგებობის ისეთ სახეს, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ დახურულია გვირგვინის ტიპის კონსტრუქციით, რომლის ცენტრალური სარკმლიდან — „ერდო“ — ხორციელდება განათება. სახურავის გვირგვინის აგებულება კი მრავალსახეობრივი იყო: ოთხნახნაგანი, ექვსნახნაგანი, რვანახნაგანი და თორმეტნახნაგანი. მაგრამ მიუხედავად ათასწლეულების ისტორიისა, დარბაზულ გვირგვინს არ განუცდია რაიმე სახეცვლილება, არ განვითარებულა. დედაბოძს, როგორც საყრდენის კონსტრუქციული, ასევე ტრადიციულ-რიტუალური დატვირთვა გააჩნდა.

ჩემს მიერ წარმოდგენილ პროექტში შემოთავაზებულია რადიკალურად განსხვავებული, სრულიად ახალი არქიტექტონიკის მქონე დარბაზული გვირგვინის კონსტრუქცია. იგი საწყისში ასიმეტრიულია, მაგრამ არა ქაოტური. რვა საყრდენი, რომელზედაც ემყარება რვაკუთხა გვირგვინი თანმიმდევრული მატებადი კუთხით არის წრეზე განლაგებული: 10°, 20°, 30°, 40°, 50°, 60°, 70°,

80°, რაც ჯამში 360 გრადუსს შეადგენს. სწორედ ამ გარემოებიდან გამომდინარე დავარქვი წინამდებარე პროექტს „გამა“, რადგან მუსიკალური ინტერვალების მსგავსად შვიდი საყრდენი მზარდი განსხვავებული გრადუსის მქონე კუთხით არიან განლაგებული წრეზე და მერვე საყრდენი კი ოქტავისამებრ კრავს სრულ წრეს, ემთხვევა რა საწყის წერტილს.




შემდეგ გვირგვინის აგებულება ვითარდება ჩვეულებრივად ყოველი შემაერთებული კოჭის შუაგულიდან შემდეგი საფარი ფენის განვითარებით. მაგრამ საინტერესო სწორედ ის არის, რომ მიუხედავად ესოდენ დიდი განსხვავებისა საწყის კუთხეებს შორის, ფენების მატების პროცესში გვირგვინის ცენტრი თანდათანობით გადადის გვერდით და იღებს აბსოლუტურად სიმეტრიულ, ოვალის მოხაზულობის ფორმას. რაც უფრო მეტად ვითარდება იგი ფენების მატების პროცესში, მით უფრო სწორ და დახვეწილ ფორმას იღებს გაგრძელებული რვაკუთხედი. როდესაც ოვალის გრძივი ღერძი ემთხვევა საწყისი ნულოვანი ვერტიკალური ღერძისა და მეექვსე ჰორიზონტალური კოჭის კვეთის ხაზს, გვირგვინის ერდოს ზედა ღიობი სრულ სიმეტრიაში არის მოსული. ეს განსხვავება 10°-13° გრადუსებს შორის მერყეობს.


ყოველი ჩვენთაგანისათვის საამაყო თემას წარმოადგენს ეროვნული ხუროთმოძღვრული წარსული. მაგრამ ცოტა ვინმე თუ იცის ამ ფასდაუდებელი საგანძურის ავტორები. მე სხვადასხვა წყაროებიდან მოვიძიე მათი სახელები და ასომთავრული ანბანის მეშვეობით შევიტანე გვირგვინის შიდა კონსტრუქციაში.

გარდა ამისა აქ არის წარმოდგენილი ჩემს მიერ დამუშავებული საყრდენ ორდერთა რვა სახეობა, რაზედაც ეფუძნება მოცემული კონსტრუქცია.

არქიტექტურის სისტემატიზაციას უღრმესი ფესვები გააჩნია. მას მრავალ ადგილას ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩაეყარა საფუძველი: იქნებოდა ეს ინდო-ჩინეთის რეგიონი, ეგვიპტე, ძველი მაიას ტომების სამყოფელი ამერიკის კონტინენტზე თუ წინა აღმოსავლეთი. გამოიარა რა მრავალსაუკუნოვანი განვითარების საფეხურები, იგი დაიხვეწა და თავის კონტესენციას, განუმეორებელ სინატიფეს საბერძნეთის ანტიკურ ხანაში მიაღწია.

აქ განვითარდა და მწყობრი აგებულება მიიღო არქიტექტურის უკვდავმა ფორმამ — კოლონამ. მისი საყრდენი და დამაგვირგვინებელი ნაწილების სრულყოფამ წარმოქმნა





ისეთი გამაერთიანებელი სისტემა, რასაც ორდერი — „წყობა“ — ეწოდება.

ბერძნულმა ტომობრივმა კულტურამ შექმნა ორი მთავარი ორდერი — „დორიული“ და „იონური“. მოგვიანებით გაჩნდა „კორინთული“. იმ შემთხვევაში როდესაც კოლონა ადამიანის ფიგურით იცვლებოდა მას „კარიკატურა“ (ქალის) და „ატლანტი“ (მამაკაცის) ეწოდებოდა.


მოგვიანებით რომაულმა არქიტექტურამ განავითარა ამგვარი არქიტექტურული აგებულება, სადაც კიდევ დაემატა „ტოსკანური“ და „რთული“ ორდერები. ეს უკანასკნელი წინა ორდერების ელემენტთა შერწყმული სახეა და ამიტომ მას „შედგენილს“ ან „კომპოზიტურს“ ეძახიან.

გავითვალისწინე რა მოცემულ თემაზე კლასიკური არქიტექტურის ღრმა ისტორიული გამოცდილება, რაც უმთავრესად ორდერთა პროპორციებში არის გამოხატული, მე დავამუშავე ხელოვნების დარგთა ამსახველი რვა არქიტექტურული საყრდენი. ეს რაოდენობა შეესაბამება ჩემს მიერ დამუშავებული გვირგვინის კუთხეთა რიცხვს.


წარმოდგენილ ორდერთა მთავარი, მზიდი ნაწილის — კოლონის თემატიკა შემდეგია: არფა; დედაბოძი; ვიოლინო; კორნეტი; როიალი; ტამტამები; ფუნჯი და პალიტრა; წიგნები.

კაპიტელები, რომელიც ჩვეულებრივ გვირგვინებს ორდერის ზედა ნაწილს, შედგენილია ხუთი იდეალური გეომეტრიული ფიგურისაგან — ოთხნახნაგიანი „ტეტრაედრი“, ექვსნახნაგიანი „კუბი“, რვანახნაგიანი „ოქტაედრი“, თორმეტნახნაგიანი „დოდეკაედრი“ და ოცნახნაგიანი „იკოსაედრი“. ამათ გარდა დანარჩენი სამი კოლონის კაპიტელებად გამოყენებულია ქალის გამოსახულების მქონე დედაბოძის კოჭი, სფერო და ჯვარი.


*მერაბ აბესაძე  
არქიტექტორი*



*გენეზისი-ხის  
ჩხირები-სილიციუმი-ლომის  
ტყავი-75X75-2001*



*დარბაზული  
გვირგვინი-105X75-2015*



*რვაკუთხა გვირგვინი-ხის ჩხირე-  
ბი, რძიანა-100X40-1988*

# 'Pleasure to work with persons, who surprise me with their taste'



I was born and grew up in Tbilisi, finished a traditional Tbilissian public school and studied bridge engineering (a bizarre choice for a Tbilissian girl of my generation) in Georgian Technical University. In my childhood, I always wanted to draw and paint, but my parents judged that I would be better off with technical and musical education. The musical part of their plan hit home – I am still fond of music, classics and other genres entice me equally.

My mother and grandmothers taught me needlework and knitting (my dolls were always dressed up to the latest fashion). Needlework turned out a benefit when I grew up.

I met my future husband – Austrian citizen – on a field visit during my work in a design institute. It was the time when Gudauri ski resort was being built, and my husband was one of the leading foreign specialists engaged in this project. Actually, this construction started my family life.

The Austrian corporation to which my husband belonged built several hotels across Georgia, Russia and Kazakhstan during those years. When the program was over, we returned to Austria – a beautiful, highly developed and peaceful country. Breathtaking museums and entertainment centers, big and small shops with pretty merchandise, polite ever-smiling people, orderly traffic, clean streets, fantastic nature... Back then, contrast between this country and the USSR was very striking.

It is already 22 years that I live in Austria. I manage my trade business, my husband and I have two wonderful loving children – a boy and a girl, and a wide circle of friends, colleagues and relations both in Austria and in Georgia, who support and assist me in all my endeavors.

Now as to necklaces and accessories.

I fell in love with making necklaces very spontaneously about 15 years ago. I was planning to go to a party and decided to match my dress with an unusual accessory. I had an old string of beads put aside with some beads missing and the lock broken, and – well – this is how it began.

First I tailored bead necklaces for my Austrian friends, then I started to receive commissions. I made several hundreds of necklaces, none of them identical.

My collection of beads grew, amount of materials increased, tools took more and more storage place. Finally, I set up a small workshop in one the rooms at home.

I purchase materials in specialized shops or take to pieces old necklaces, which my friends keep bringing (grandma brooches and bead necklaces have special charm), and so find inspiring details suitable to start each composition.

I vary techniques and materials: precious and semi-precious gems, crystal, mother-of-pearl, pearl, amber, wood, ceramics, rhinestone, wire, leather, Murano glass and, of course, Austrian Swarovski crystals.

I also enjoy refreshing old necklaces, enriching and reviving them with new elements.

When receiving commissions, I always try to get acquainted with my clients, learn something about their taste and preferred colors, the reasons why they are ordering necklaces with me.

Interaction with clients is interesting. A product delivered to a boutique or a collection set for an exhibition excites me, it is a pleasure to watch men clients ingeniously trusting my taste and taking securely packed ornaments to their ladies; not a lesser pleasure it is to work with ladies, who often surprise me with their taste.





In Austria I arranged numerous exhibitions in Center for Visual Arts, in a gallery, in Tourism and Aesthetics Center; my products were sold in boutiques and displayed at a Christmas vernissage in Italy.

Two years ago, together with my close friend artist Sandro Akhvlediani, I presented my collection at a vernissage dedicated to the activity of Georgian

artists based in foreign countries, which was hosted by Vetro Vario Gallery. Since then, Vetro Vario Gallery systematically sold my necklaces.

I still work on commissions. I am fond of my hobby, and I feel a surge of pride every time I see someone wearing one of necklaces I made long ago.

*Nino Gurjishvili  
Artists and creator*



#### P.S. THE SPRING EXHIBITION

2 April 2017 at Art Café COME IN was opened Exhibition / sale of women Artists friends . The exhibition was called – „Spring exhibition Handmade deco and accesoriez.,

Participating of the exhibition: Irina Gachechilazde, Maia Teneishvili, Nino Gurjishvili, Nino Shubladze.

The exhibition had a lot of visitors and received a high grades.

Wish him every success in the future!

# არაჩვეულებრივი გამოფენა

თეკლა ჭითანავა 2001-2014 წწ. სწავლობდა თბილისის 21-ე საჯარო სკოლაში. 2012 წ. დაამთავრა გერმანული ენის სკოლა, ბერლინში; 2014 წ. დაამთავრა სტუ-ს არქიტექტურის ფაკულტეტი. იგი მრავალი სერტიფიკატის და ჯილდოს მფლობელია:

2003- 2006 წწ. — სერტიფიკატი, კერამიკის სტუდიის „ბელი“ ყოველწლიური გამოფენა;

2004 წ. — I ადგილი და სერტიფიკატი, ფერწერის კონკურსი „ჰობი“;

2006 წ.- სერტიფიკატი ე. ახვლედიანის სახ. ბავშვთა სურათების გალერეაში გამართული გამოფენა;

2011 წ. — სერტიფიკატი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის პრაქტიკული სამართლის კურსი;

2011-2012 წწ.- სერტიფიკატი, 21-ე საჯარო. სკოლის ყოველწლიური კონკურსი „ 21-ე საუკუნე“. 2012 წ. — დიპლომი გერმანული ენის კურსი, PSP გერმანული ენის სკოლა, ბერლინი;

2013 წ. — სერტიფიკატი, გერმანული წიგნების პოპულარიზაციის პროექტი — lesefuechse International;

2014 წ.- გერმანული ენის დიპლომი DSD 2. მონაწილეობს არქიტექტურულ და ხელოვნების ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებში.

2016 წლიდან — დღემდე არის კაიზერსლაუთერნის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტი.




# UNUSUAL EXHIBITION

**Tekla Chitanava**

Education: 2001-2014 – N21 secondary school, Tbilisi; 2012 – German Language School, Berlin; 2014 – up to date: Technical University of Georgia, faculty of Architecture, Urban Development and Design, majoring in architecture.

Certificates and awards: 2003 – 2006 – Certificate, annual exhibition „Bell“ ceramics studio; 2004 – 1 place and certificate for participation in painting contest „Hobby“; 2006–Certificate for participation in exhibition at Akhvlediani State Children’s Gallery; 2011 – Certificate for completing the Course of Practical Law at Tbilisi State University; 2011 – 2012 – Certificate for participation in the annual contest of N21 secondary school „XXI Century“; 2012– Diploma for doing the German Language Course, PsP, German Language School, Berlin; 2013 – Certificate for participation in the project of promoting German books „Lesefuechse International“; 2014 – German language diploma DsD 2. Participates in local and international exhibitions of architecture and art.

From 2016 to the present day She’s a student of kaiserslautern Technical university.



# რამაზ კიკნაძე

## არქიტექტურა

1937-1974

გამოჩენილი ქართველი არქიტექტორის რამაზ კიკნაძის დაბადებიდან 80 წლისთავის აღსანიშნავად გამოიცა ალბომი „რამაზ კიკნაძე (1937-1974) არქიტექტურა“.


ალბომი ეძღვნება ადამიანს, რომელმაც, მიუხედავად თავისი მეტად ხანმოკლე ცხოვრებისა, შეძლო ღრმა კვალი დაეტოვებინა ჩვენს არქიტექტურასა და არქიტექტურულ აზროვნებაში, თანამედროვე ქართულ კულტურაში.

ეს არის მოკრძალებული ცდა, რომ შეგროვებულიყო და წარმოჩენილიყო ის დიდი და მეტად საინტერესო ნაწილი ჩვენი არქიტექტურისა, რომელიც რამაზ კიკნაძემ და მისმა კოლეგებმა, თანამოაზრეებმა და მეგობრებმა შეძლეს.

დღესაც, მის მიერ აშენებული შენობები, განუხორციელებელი პროექტები თუ დამოკიდებულება საკუთარი პროფესიისადმი დიდ გავლენას ახდენს მის კოლეგებზე, ვინც ცდილობს იმოღვაწოს არქიტექტურაში. მე-20 საუკუნის საქართველოს შეუძლია იამაყოს რამაზ კიკნაძის სახელით, მისი არქიტექტურით.



რამაზ კიკნაძე დაიბადა 1937 წელს, ქალაქ თბილისში. 1961 წ. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტი. 1962 წლიდან 12 წლის განმავლობაში მუშაობდა სსი „თბილქალაქპროექტი“, IV არქიტექტურულ სახელოსნოში. 1972 წ.-დან სსი „საქქალაქმშენსახპროექტის მე-2 არქიტექტურული სახელოსნოს ხელმძღვანელად დაიწყო მუშაობა. ამასთან ერთად, იგი იყო საქართველოს არქიტექტორთა



კავშირის გამგეობის და პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს რესპუბლიკის „სახმშენის“ და თბილისის მთავარი არქიტექტორის საბჭოების წევრი, სავაჭრო პალატის მთავარი არქიტექტორი. ასწავლიდა არქიტექტურულ გეგმარებას პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტზე. მისი მრავალი ნამუშევარი აღინიშნა რესპუბლიკურ თუ საკავშირო კონკურსებსა და დათვალეიერებებზე. მისივე პროექტებით განხორციელდა საქართველოს საგამოფენო პავილიონები მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გამოფენებზე.

„უეჭველია, რომ არქიტექტორისთვის სრულიადაც არ არის საკმარისი სხვადასხვა მონაცემთა თავმოყრა. ეს, მხოლოდ მასალაა იმისთვის, რათა მიგნებული იქნას ამ მასალის მიზანშეწონილი კომბინირების ფორმა; აქ ესხნება გზა არქიტექტორის შემოქმედებით უნარს და ჩნდება სარბიელი მისი ინდივიდუალური შემოქმედებითი პოტენციის გამოსამჟღავნებლად. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი ნამდვილ არქიტექტურულ მუშაობაზე, მხოლოდ ასეთ პირობებშია შესაძლებელი, რომ არქიტექტორმა მაღალ შემოქმედებით დონეზე განახორციელოს დასახული ამოცანა“.

რამაზ კიკნაძე

